

მმართველობითი და სამეთვალყურეო უფლებამოსილებათა გამიჯვნის
შედარებითი ანალიზი კორპორაციულ მართვაში

ნანა ოდიშელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ ნანა ოდიშელიძე

თარიღი: 06.07.2015

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალაზაციის პირობებში კორპორაციული მართვის გაზრდილი აქტუალურობიდან გამომდინარე, მით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კომპანიის შიგნით მმართველობითი და სამეთვალყურეო უფლებამოსილებათა სწორ გადანაწილებას. აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისთვის, ისე საქართველოსთვისაც.

ნაშრომში განხილულია კორპორაციული მართვის სისტემები, მართვისა და მეთვალყურეობის უფლებათა გამიჯვნის საქართველოში არსებული რეგულაციები და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებები დირექტორთან მიმართებით. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შედარებით ანალიზის მეთოდი, კერძოდ, ქართული კანონმდებლობა მომოხილულია გერმანიასა და დიდი ბრიტანეთში შესაბამის სფეროში არსებულ რეგულაციებთან მიმართებაში.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქართულ სამეწარმეო სამართალში უამრავი ხარვეზია, რომელიც უფლებამოსილებათა არალოგიკურ გამიჯვნას იწვევს. ასევე გამოიკვეთა, შესაძარებელი ქვეყნების რეგულაციებთან მიმართებაში ქართული ნორმების ბუნდოვანება და არასრულყოფილება.

საძიებო სიტყვები: *კორპორაციული მართვა, უფლებამოსილებათა გამიჯვნა, კორპორაციული მართვის სისტემები, დირექტორის კონტროლი, სამეთვალყურეო საბჭოს უფლებები.*

Abstract

Taking into consideration the urgency of corporate governance within the modern globalization, the correct division of supervision and governance powers inside the companies attracts more attention. As for many countries, approaching to international standards in this field stays challenge for Georgia.

Paper discusses systems of corporate governance, regulations on dropping boundaries between supervision and governance rights, supervisory board rights relating to company directors. Paper uses Comparative analysis method of research and discusses Georgian law in comparison with German and United Kingdom regulations in respective fields.

Research results showed that Georgian Corporate Law includes many gaps which results in illogical distribution of rights. Also, research made clear that Georgian regulations are more obscured and incomplete compared to mentioned Countries.

Key words: Corporate governance, division of rights, corporate governance systems, control of directors, rights of supervisory board.